რუსთაველ მეტალურგთა თაოსნობა რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციების საქმიანობის ერთ-ერთი ქვაკუთხედი უნდა იყოს. უნდა მივაღწიოთ, რომ არც ჩვენს რიგებში იყვნენ ჩამორჩენილები და დისციპლინის დამრღვევი ფიზკულტურელები და სპორტსმენები!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 136 (5686)

1976 წ. 11 ივლისი, კვირა.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

აიტაცოთ რუსთაველ მეტალურგთა თაოსნობა

რუსთაველ მეტალურგთა შესანიშნავმა თაოსნობამ — „არც ერთი ჩამორჩენილი და დისციპლინის დამრღვევი ჩვენს გვერდით" — დიდი მოწონება და გამოხმაურება პოვა რესპუბლიკის მშრომელებში. რუსთაველ მეტალურგთა თაოსნობა უნდა აიტაცონ საქართველოს ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა, სპორტსმენებმა, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პარტიული აქტივის კრებაზე სიტყვით გამოსულმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. შევარდნაძემ აღნიშნა:

„როცა დისციპლინაზე ვლაპარაკობთ, ამ სიტყვას ყველაზე ფართო გაგებით ვგულისხმობთ. ეს არის დისციპლინის განმტკიცება ყველგან და ყველაფერში. ეს ეხება ყველას და თითოეულს".

დასამალი როდია, რომ ჯერ კიდევ გვხვდება ზოგიერთი ფიზკულტურული ორგანიზაციის თავკაცის, ცალკეული მწვრთნელის თუ სპორტსმენის მიერ დისციპლინის დარღვევის შემთხვევები. ქალაქისა და სოფლის ფიზკულტურელთა ზოგიერთი მეთაური, რომელმაც უნარიანი ხელმძღვანელობით, ბეჯითი შრომით თავი ვერ გამოიჩინა, ცდილობს თავისი „საქმიანობა" მიწერებით, ყალბისმქნელობით გამოასწოროს. არის შემთხვევები, როცა ფიზკულტურული ორგანიზაციები მხოლოდ და მხოლოდ ქულების მოგროვებით კმაყოფილდებიან. არაფერს ზოგავენ, რათა შეჯიბრებებში როგორმე გაუსწრონ მეტოქე ორგანიზაციებს, მხედველობიდან კი რჩებათ მთავარი — ფიზკულტურის მასობრიობის, სპორტსმენთა ოსტატობის ამაღლების, ახალგაზრდობის ფიზიკურად გაკაჟების კეთილშობილური საქმე.

ჩვენი რესპუბლიკა სამართლიანად ამაყობს მაღალკვალიფიციური კადრებით. ბევრი სახელოვანი მწვრთნელის მოწაფეები ახლა მონრეალში არიან და ოლიმპიადის სტარტისთვის ემზადებიან. ასეთი მწვრთნელები თითზე ჩამოსათვლელები არიან. არის ფაქტები, როცა ფიზკულტურულ ორგანიზაციებში წლების მანძილზე მუშაობენ მწვრთნელები, საკმაო გასამრჯელოსაც იღებენ, მაგრამ მათგან კატეგორიულად როდი მოითხოვენ მაღალკვალიფიციურ სპორტსმენთა აღზრდას და ისინიც თავს არ იწუხებენ. ეს წლიდან წლამდე გრძელდება, და პასუხს კი მწვრთნელებიდან არავინ მოითხოვს. არიან ისეთი კატეგორიის აღმზრდელებიც, რომლებიც რამდენიმე კოლექტივში ეწევიან საქმიანობას და არც ერთში თავისი შრომის ნაკვალევს არ ტოვებენ, ორ-სამ ადგილას იღებენ ხელფასს და ჩვენი სპორტისთვის არავითარი სარგებლობა არ მოაქვთ. სწორედ ასეთი კატეგორიის ხალხზე თქვა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პარტიული აქტივის კრებაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. შევარდნაძემ:

„ის, ვინც მთელი ძალ-ღონით არ მუშაობს, ცოტას ან არაფერს აძლევს სახელმწიფოს, მაგრამ სხვების თანაბრად სარგებლობს მთელი სოციალური სიკეთით, მატერიალური და სულიერი დოვლათით, იგი სხვების ნაამაგარს ითვისებს. ეს ეწინააღმდეგება სოციალიზმის პრინციპებს, ჩვენი კონსტიტუციისა და ჩვენი კანონების სულისკვეთებას".

დისციპლინის დამრღვევთა როლში გამოდიან სპორტსმენებიც. ხშირია შემთხვევები, როცა სპორტულ სარბიელზე უხეშობენ, მსაჯებს ეკამათებიან სპორტის სხვადასხვა სახეობის წარმომადგენლები. ამით ისინი არცხვენენ მშობლიური კოლექტივის სახელს.

რაც დრო გადის, მით უფრო ფართოვდება საქართველოს წარმომადგენელთა სპორტული კონტაქტები სხვადასხვა ქვეყნის სპორტსმენებთან. სამწუხაროდ, არის ფაქტები, როცა ზოგიერთი წარგზავნილი სტუმრად იჩენს სიხარბეს, ავლენს მომხვეჭელობის ჩვევებს, და ამ ვაი-სპორტსმენთა უღირსი საქციელის საკითხი საჯარო განხილვის საგანი ხდება.

რუსთაველ მეტალურგთა თაოსნობა — „არც ერთი ჩამორჩენილი და დისციპლინის დამრღვევი ჩვენს შორის", — უნდა აიტაცონ რესპუბლიკის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა, სპორტსმენებმა, რათა არც ჩვენი მოღვაწეობის სფეროში იყვნენ ჩამორჩენილები და დისციპლინის დამრღვევნი.

ჩვენი სამოქმედო პროგრამა

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს „თბილმრეწმშენის" № 3 ტრესტის კოლექტივი გულდასმით გაეცნო სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „თუ როგორ ასრულებს საქართველოს პარტიული ორგანიზაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ".

დადგენილების გამოქვეყნების შემდეგ გასულ მცირე ხანში ნათლად გამოიკვეთა ამ დოკუმენტის ცხოველმყოფელობა, გამოჩნდა ის დიდი პასუხისმგებლობა, რასაც სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებები გვაკისრებს. ტრესტს კი ამოცანები მართლაც დიდი აქვს — წლეულს უნდა დავამთავროთ 26 ობიექტის მშენებლობა, მათ შორის საქართველოს სსრ სოციალისტური ვალდებულებით გათვალისწინებული სამუშაოებიც — გაჩიანში ხორცკომბინატის, ლილოში ბოსტნეულის სათავსის აგება, თბილისში კერამიკული კომბინატის რეკონსტრუქცია, აგრეთვე, გრიბოედოვის სახელობის თეატრის, თბილისის „დინამოს" სტადიონის, ველოტრეკისა და სხვა ობიექტების მშენებლობა. ყველა ობიექტის საექსპლოატაციოდ გადაცემა დაძაბულ, ენერგიულ შრომას მოითხოვს.

ჩვენ მარტონი როდი ვართ. რესპუბლიკის ყველა დიდი საწარმოს, მშენებლობის, დაწესებულების წინაშე ასევე გადაუდებელი ამოცანებია დასახული — მარტო თბილისის საწარმოებმა 40 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია უნდა გამოუშვან. ამ დავალებათა შესრულება კი მტკიცე სოციალისტურ დისციპლინას მოითხოვს.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პარტიული აქტივის კრებაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. შევარდნაძის გამოსვლაში მთავარი ყურადღება სწორედ ამ საკითხს მიექცა. ამხ. ე. შევარდნაძემ თქვა: „ამოცანა ის არის, რომ ყოველი შრომითი კოლექტივი, ყოველი პირველადი პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული, პიონერული ორგანიზაცია, როგორც ქალაქად, ისე სოფლად გახდეს შეგნებული დისციპლინის, მაღალი მომთხოვნელობისა და შემსრულებლობის სულისკვეთებით ადამიანთა აღზრდის სკოლა, აკადემია.

პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულონ დისციპლინის განმტკიცებაში". ეს სიტყვები ყველასთვის სამოქმედო პროგრამა უნდა გახდეს.

ახლა ჩვენი ტრესტი ყველა უბანზე სწორედ ამ სიტყვების გათვალისწინებით მუშაობს. ეს განსაკუთრებით გამოვლინდა თბილისის „დინამოს" სტადიონის მშენებლობაზე, რომლის ოპერატიული ხელმძღვანელობაც პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტმა იკისრა. შტაბის რეგულარული სხდომები მშენებლობაზე დისციპლინის განმტკიცებისთვის ბრძოლის საუკეთესო ნიმუშია.

ის, რაც ამხ. ე. შევარდნაძემ რუსთაველ მეტალურგებს პარტიული აქტივის კრებაზე უთხრა, რესპუბლიკის ყველა შრომით კოლექტივს, ყველა ორგანიზაციას ეხება და ჩვენი ვალია ყველაფერი გავაკეთოთ მისი შესრულებისთვის, მეათე ხუთწლედის ყველა დავალების ხარისხიანად და ეფექტიანად განხორციელებისთვის.

თ. შელეგია,
ტრესტის პარტიული კომიტეტის მდივანი.

გზა დაულოცეს

თვე-ნახევარს იყვნენ თბილისში საბჭოთა კავშირის ტრეკზე ველორბოლის ოსტატთა ოლიმპიური ნაკრების წევრები, რომლებიც აქ მონრეალის XXI ოლიმპიადისთვის ემზადებოდნენ. ოლიმპიადაზე გამგზავრების წინ სპორტსმენები მიიღო ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სარდალმა, გენერალ-პოლკოვნიკმა პ. მელნიკოვმა. მიღებას ესწრებოდნენ საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი დ. პერტენავა, წარსულში სახელგანთქმული სპორტსმენი ნ. დუმბაძე, სხვა გამოჩენილი საბჭოთა მწვრთნელები.

შესავალი სიტყვა წარმოთქვა და დამსწრე საზოგადოებას სტუმრები წარუდგინა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის წარმომადგენელმა, პოდპოლკოვნიკმა გ. პრუსაკოვმა. შემდეგ სიტყვით გამოვიდა სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრების უფროსი მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი და სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გ. პავლუხინი, რომელმაც მიღების მონაწილეებს გააცნო საბჭოთა ქვეყნის უძლიერესი ველომრბოლელები — ოლიმპიური ნაკრების წევრები.

— თბილისში ყოფნის პერიოდში ველოსიპედისტებმა კარგი ფიზიკური და მორალური წრთობა გაიარეს, ახლოს გაიცნეს ერთმანეთი, მონაწილეობა მიიღეს რამდენიმე საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებაში, სადაც მაღალი შედეგები მოიპოვეს. ეს უფლებას გვაძლევს იმედით დაველოდოთ მონრეალის ბატალიებს, — თქვა გ. პავლუხინმა.

ოლიმპიური ნაკრების კანდიდატებს გულთბილად მიესალმა სამხედრო ოლქის სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი პ. მელნიკოვი.

ველომრბოლელთა ოლიმპიური ნაკრების წევრებისა და სტუმრების სახელით დ. პერტენავამ დიდი მადლობა გადაუხადა მასპინძლებს გულთბილი მიღებისთვის და დამსწრეებს აღუთქვა, რომ საბჭოთა ოლიმპიელები თავს არ დაზოგავენ, რათა ღირსეულად დაიცვან სამშობლოს სახელი.

MONTREAL

ოლიმპიური თამაშების გახსნამდე დარჩა

6 დღე

ჩვენი შემდგომი მუშაობის სახელმძღვანელო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები დიდი ენთუზიაზმით ეცნობიან და სწავლობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ.

ხალხმრავალ თათბირებზე გამოსული ორატორები მხურვალედ იწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილებას და მადლობის გრძნობას გამოხატავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ბრეჟნევის მიმართ ჩვენი რესპუბლიკისადმი ასეთი დიდი ზრუნვის გამო.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილების განხილვას მიეძღვნა თათბირი, რომელიც მოეწყო საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში. მოხსენებით გამოსულმა ინსტიტუტის ფილოსოფიისა და პოლიტეკონომიის კათედრის გამგემ გ. ჯოლოხავამ ილაპარაკა იმის შესახებ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი რესპუბლიკის შემდგომი წინსვლისთვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამ უმნიშვნელოვანეს დადგენილებას.

— სკკპ ცენტრალური კომიტეტის ეს დადგენილება, — თქვა ჯოლოხავამ. — კიდევ ერთხელ თვალნათლივ გვიჩვენებს იმ განსაკუთრებულ ზრუნვას და ყურადღებას, რასაც იჩენენ ჩვენი რესპუბლიკისა და მისი მშრომელებისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტი და პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ბრეჟნევი. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა ძალზე მოკლე დროის მანძილზე დაძლიეს სერიოზული ნაკლოვანებები და დიდი წარმატებები მოიპოვეს მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის განვითარების დარგში. ჩვენი ვალია, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილება გახდეს სახელმძღვანელო პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების გზაზე. ჩვენი ინსტიტუტის პედაგოგ-მასწავლებელთა ამოცანაა უფრო სრულვყოთ მაღალკვალიფიციური კადრების აღზრდის საქმე, ავამაღლოთ ჩვენი სტუდენტი ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის დონე.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობდნენ ფილოსოფიისა და პოლიტეკონომიის კათედრის მასწავლებელი კ. კახიძე, ფიზიკური კულტურის ისტორიისა და ორგანიზაციის კათედრის გამგე ა. ციბაძე, ფილოსოფიისა და პოლიტეკონომიის კათედრის კაბინეტის გამგე გ. ჩიქოვანი, ამავე კათედრის ლაბორანტი ნ. მაჭარაშვილი, ფიზიოლოგიის კათედრის გამგის მოვალეობის შემსრულებელი დ. წიტაშვილი და სხვები.

ოლიმპიელებს ეძღვნება

ამ დღეებში გამოვიდა გაზეთების „მოლოდიოჟ გრუზიისა" და „ახალგაზრდა კომუნისტის" ერთობლივი სპეციალური გამოშვება, რომელიც მონრეალის XXI ოლიმპიური თამაშების მონაწილე საბჭოთა სპორტსმენებს ეძღვნება. პირველ გვერდზე დაბეჭდილია მეთაური — „გამარჯვებით დაგვიბრუნდით"! ესაა გზის დალოცვა, საქართველოს კომკავშირელთა და ახალგაზრდობის მიმართვა ოლიმპიადის მონაწილე საბჭოთა სპორტსმენებისადმი, აღსავსე იმედებით და კეთილი სურვილებით.

ოლიმპიელებს გზას ულოცავენ საქვეყნოდ სახელგანთქმული სპორტსმენები ნინო დუმბაძე, რობერტ შავლაყაძე, გივი კარტოზია, დავით ციმაკურიძე.

გამოშვება მკითხველებს აცნობს საქართველოს სპორტსმენთა ოლიმპიურ გზას ჰელსინკიდან მონრეალამდე, ესაუბრება ოლიმპიური ქარტიის, ოლიმპიური დროშის, ფიცის, ემბლემის შესახებ, ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებზე, რომელთაც საბჭოთა სპორტის ღირსება უნდა დაიცვან მომავალ ოლიმპიურ ფორუმში.

УСПЕХОВ, ПОСЛАНЦЫ РОДИНЫ!

Молодежь Грузии

ახალგაზრდა კომუნისტი

Возвращайтесь с победой!

БЫСТРЕЕ, ВЫШЕ, СИЛЬНЕЕ!

გამოშვება ლამაზად, საინტერესოდაა გაფორმებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიზკულტურული სალამი, კოსმონავტო!

კოსმოსურ ხომალდ „სოიუზ-21"-ის ეკიპაჟმა ამ დღეებში უამრავი მილოცვა მიიღო. კოსმონავტებს ულოცავენ ბაქოელებიც, აზერბაიჯანის ნავთობისა და ქიმიის ინსტიტუტის კურსდამთავრებულის, „სოიუზ-21"-ის ბორტინჟინრის, სპორტული სიჭაბუკის მეგობრები და მასწავლებლები.

როგორც ყველა ბაქოელი ბიჭი, ვიტალი ჟოლობოვიც ფეხბურთის ბურთს დასდევდა ხრიოკებზე, თამაშობდა ფრენბურთს. 164-ე საშუალო სკოლის ნიჩბოსანთა გუნდის შემადგენლობაში ვიტალი ქალაქის ჩემპიონი გახდა „ექსადგილიანებში" თავის უფროს ძმასთან ვალენტინთან ერთად, რომელსაც ფიზკულტურის ინსტიტუტი ჰქონდა დამთავრებული. იგი წარმატებებს აღწევდა კრივსა და ცურვაშიც. სპორტულ შეჯიბრებებში შეძენილი რეაქცია და წრთობა არმიაში სამსახურისა და კოსმოსური სტარტისთვის მზადების წლებშიც გამოადგა.

მომავალი კოსმონავტის სპორტულ წრთობაში სკოლამ დიდი როლი ითამაშა. 164-ე სკოლა ბაქოში სამართლიანად ითვლება ერთ-ერთ სპორტულ სასწავლებლად. აქ გაიზარდა 50 სპორტის ოსტატი — სსრ კავშირისა და აზერბაიჯანის ნაკრები გუნდების წევრები.

— მოხარული ვართ, რომ ერთ-ერთი ჩვენი სპორტსმენი კოსმონავტი გახდა, — უთხრა საქდესის კორესპონდენტს ფიზიკური კულტურისა და სპორტის წარჩინებულმა ა. მხითაროვმა, რომელიც აგერ 30 წელია ფიზკულტურის გაკვეთილებს ატარებს 164-ე სკოლაში. — ყველა ჩვენი სპორტსმენი ფიზკულტურულ სალამს უგზავნის ვიტალი ჟოლობოვს და წარმატებას უსურვებს სახელოვან ეკიპაჟს.

ნ. ბარსკი.

ბაქო.

მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა

სპარტაკიადა ტემპს იღებს

ლვოვში მიმდინარე მოსწავლეთა XIV საკავშირო სპარტაკიადაში უკვე გამოიკვეთნენ ლიდერები სპორტულ ტანვარჯიშში. ესენი არიან უკრაინის, რუსეთის ფედერაციისა და ლენინგრადის კოლექტივები. წყალბურთელთა ტურნირში დაწინაურდნენ უკრაინის, მოლდავეთისა და რუსეთის ფედერაციის სპორტსმენები. სამი ტურის შემდეგ მოჭადრაკეთა ტურნირში თავიანთ ქვეჯგუფებში ლიდერობენ საქართველოს, უკრაინისა და რუსეთის ფედერაციის მოსწავლეები.

ჭაბუკთა შორის 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში პირველობა ა. ზიმინმა (რსფსრ) მოიპოვა — 16.16,4. 4×100 მეტრზე კომბინირებულ ესტაფეტაში გოგონებიდან უკრაინელმა სპორტსმენებმა (ლ. პაშენკოვა, ს. პიკულინა, ა. ხოლკინა, ტ. მაციპორკო) იმარჯვეს — 4.38,5. ჭაბუკებში ტოლი არავის დაუდეს მოსკოველმა მოცურავეებმა (ი. იზოტოვი, ა. ფედოროვსკი, ს. მარენიუკი, ვ. გლუხოვი) — 4.04,9.

საბოლოოდ ცურვაში ადგილები ასე განაწილდა: 1. ლენინგრადი — 1180 (გოგონები—686, ჭაბუკები—494), 2. რსფსრ—1126 (500+626), 3. უკრაინა — 1074 (594+480), 4. მოსკოვი — 1009 (552—457), 5. ბელორუსია — 836 (446+390), 6. ესტონეთი — 455 (213+242).

საინტერესო შეჯიბრება

ამას წინათ დუშეთში გაიმართა „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობაში. შეჯიბრებაში 4 გუნდის (ქუთაისი, დუშეთი, მცხეთა, გალი) 51 მონაწილე ჩაება. გუნდური პირველობა ქუთაისელმა სპორტსმენებმა მოიპოვეს — 111 ქულა, შემდეგ მოდიან მცხეთის (63), დუშეთისა (33) და გალის (30) გუნდები.

ქალთა პირად ტურნირში 500 მეტრზე ერთადგილიანი ბაიდარით ასპარეზობისას ტოლი არ ჰყავდა ქუთაისელ ლ. მაღლაფერიძეს — 2.28,9. ორადგილიანებით პირველობა არავის დაუთმეს ქუთაისელებმა ლ. მაღლაფერიძემ და ლ. ტაბუცაძემ (2.08,0).

ვაჟებში 1000 მეტრზე ერთადგილიანი ბაიდარით ასპარეზობისას გაიმარჯვა მცხეთელმა თ. კიკნაძემ — 4.55,0. ამავე დისტანციაზე ორადგილიანით შეჯიბრებაში 1 ადგილი დაიკავეს ი. თევდორაძემ და გ. სიმსივემ (ორივე — ქუთაისი) — 4.12,5, ერთადგილიანი კანოეებით რბოლაში გაიმარჯვა ქუთაისელმა გ. ავალიშვილმა (5,45,0). 500 მეტრზე ორადგილიანებით რბოლაში უძლიერესნი იყვნენ ქუთაისელები ა. დათიაშვილი და დ. ძნელაძე (1.56,4).

შეჯიბრებამ, რომელიც კარგად იყო ორგანიზებული (მთავარი მსაჯი — რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი ფ. ხუროშვილი), ადგილობრივი გულშემატკივრების დიდი ინტერესი გამოიწვია.

თ. ჯოხაძე.

წყალსათხილამურო სპორტი მიმზიდველი სახეობაა. მან უკვე ბევრი თაყვანისმცემელი შეიძინა და დღითი დღე კიდევ უფრო პოპულარული ხდება. წყლის სივრცეებზე ფრენა განსაკუთრებით იზიდავს საწყალოსნო თხილამურების მოყვარულებს.

„ვოლგაზე" — ასე უწოდა თავის სურათს ე. ლოგვინოვმა, რომელმაც სპორტსმენები ფრენის დროს აღბეჭდა ფირზე.

გვიხმობენ შორეული გზები

958 ტურისტული ბაზა, სასტუმრო, კემპინგი, 7,5 ათასი მარშრუტი ელით ამ ზაფხულს მოგზაურობის მოყვარულთ. როგორი იქნება წლეულს ტურისტული ზაფხული, რითი განსხვავდება შარშანდელისგან? საქდესის კორესპონდენტის შეკითხვებზე უპასუხებს საკავშირო პროფსაბჭოს ტურიზმისა და ექსკურსიების ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ა. აბუკოვა.

— წლიდან წლამდე ფართოვდება ახალი ბაზების და კემპინგების მშენებლობა, ჩნდება ახალი მარშრუტები. გამოდის, რომ ტურისტების არმია იზრდება?

— დიახ და ძალიან სწრაფადაც! აქტიური დასვენების ეს სახეობა ჩვენს ქვეყანაში წლიდან წლამდე უფრო პოპულარული ხდება. ტურისტულ ბაზებში, სასტუმროებში, კემპინგებში ერთდროულად 332 ათასი ტურისტი დაისვენებს, ეს კი 30 ათასზე მეტით აჭარბებს შარშანდელს.

— ბოლო წლებში ტურისტების რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა, როგორაა ხარისხის საქმე?

— ახალი ციფრების მიღმა არ დგას მათემატიკური მოქმედებები — გამრავლება, გაყოფა. სიტყვები „ტურისტული მარშრუტების გაზრდა" ისე უნდა გავიგოთ, რომ ტურისტულ-საექსკურსიო ორგანიზაციების მუშაკებმა ახალი „ბილიკები" გახსნეს თვალწარმტაც ადგილებში. დღეს ტურისტული მარშრუტების ტრასები გადის ციმბირსა და კავკასიაში, კარპატებსა და შორეულ აღმოსავლეთში, ცენტრალურ რუსეთსა და შუა აზიაში, ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს ზღვებზე, ტბებსა და მდინარეებზე. მოგზაურობის მოყვარულთათვის ახალი გზების გაყვანისას ჩვენ ვალდებული ვართ მხედველობაში მივიღოთ არა მარტო მათი გემოვნება, არამედ ასაკიც. ეწყობა სპეციალური მარშრუტები მშობლებისა და ბავშვებისთვის, აგრეთვე, ტურბაზები ოჯახური დასვენებისთვის. ამოცანები დიდია. მათს გადაწყვეტაში პროფკავშირთა 526 საექსკურსიო ბიურო მონაწილეობს. X ხუთწლედში დიდი ყურადღება მიექცევა ტურისტთა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას. ახლა მთელი სიმწვავით დგას არა მარტო ახალი ბაზების მშენებლობის, არამედ არსებული ტურისტული ობიექტების გამოყენების საკითხიც. ჩვენ შევუდექით მოქმედი ბაზების გაფართოებას და კეთილმოწყობას. ამ მიზნისთვის X ხუთწლედში 115 მილიონი მანეთი დაიხარჯება:

— XX საუკუნე ტექნიკური პროგრესის საუკუნეა. რა გავლენა იქონია ტურიზმზე „თვლებისა და ფრთების" ეპოქამ?

— თანამედროვე მოგზაური, როგორც წესი, თავისუფალ დროს, შვებულებისას მიისწრაფის თავი დააღწიოს ამ „თვლებს". დიდი პოპულარობით სარგებლობს ახლა ფეხით ლაშქრობები, აგრეთვე, ბაიდარებით, ტივებით, ცხენებით მოგზაურობაც. მაგრამ ამავე დროს „სიძველეთა" მიმდევრები მოგზაურობის დროს მაინც იყენებენ ახალი დროის მიღწევებს, ტაიგის ძნიხარემდე ან ალტაის ბილიკამდე, მაგალითად, შვებულების განმავლობაში რუსეთის ევროპული ნაწილიდან ფეხით ვერ მიაღწევ. ამას გარდა არ მცირდება მოგზაურობის მოყვარულთა რიცხვი, რომლებსაც სურთ მოკლე დროში, ვთქვათ ერთ თვეში, ან სულაც ორ კვირა დღეს, მიიღონ რაც შეიძლება მეტი შთაბეჭდილება. ასეთი ტურისტი-ექსკურსანტებისთვისაა სწორედ თანამედროვე სატრანსპორტო საშუალებები. წლეულს მოეწყობა 214 ათასი ავტობუსის, 30 ათასი საჰაერო, 9 ათასი სარკინიგზო და 7 ათასამდე საწყლოსნო ტურისტული რეისი.

— ტურისტულ ბილიკებზე ხშირად გვხვდება ახალგაზრდობა ზურგჩანთებით — სტუდენტები, მოსწავლეები. იგეგმება თუ არა სპეციალური მარშრუტები, ბაზები მათთვის?

— ბუნებრივია, უფლება არა გვაქვს დავივიწყოთ ყველაზე დიდი რაზმი ტურისტებისა. აგერ უკვე რამდენი წელია დიდი პოპულარობით სარგებლობს ტურისტული ექსპედიცია „ჩემი სამშობლო — სსრ კავშირი". მისი მიზანია თვალნათლივ დავანახოთ ახალგაზრდობას ჩვენი სამშობლოს ცხოვრებაში მომხდარი სოციალური და ეკონომიური სიახლეები და გარდაქმნები. საბჭოთა ხალხის რევოლუციური და საბრძოლო ტრადიციები, ისტორიული და არქიტექტურული ძეგლები, მშობლიური მხარის ბუნებრივი სიმდიდრეები. არანაკლებ პოპულარულია მასობრივი პატრიოტული მოძრაობა, რომელიც 10 წლის წინათ დაიწყო, როცა ქალაქ ბრესტში შედგა კვალის მაძიებელთა ფინალური შეკრება. კომკავშირელთა და ახალგაზრდობის საკავშირო ლაშქრობა საბჭოთა ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი დიდების ადგილებში. ამ ლაშქრობებში ბოლო ორ წელს 30 მილიონზე მეტი ჭაბუკი და ქალიშვილი მონაწილეობდა. ახალგაზრდა პატრიოტებმა 350 ათასი დაღუპული მებრძოლის სახელი დაადგინეს.

ახალგაზრდული ტურიზმი, მოგზაურობები და ექსკურსიები, განსაკუთრებით ზაფხულში, სულ უფრო მასობრივ ხასიათს იღებს. ზაფხულის არდადეგებზე ტურისტულ ბაზებში ერთდროულად დაისვენებს 130 ათასი ახალგაზრდა მოგზაური. რომანტიკის მოტრფიალენი პიონერთა ბანაკში მისვლამდე ოცნებობენ ლაშქრობის დროს თევზაობაზე, უხაზე, კოცონზე. და, თუ მათი მომავალი ხელმძღვანელი ინიციატივიანია, უყვარს თავისი საქმე, ოცნებაც განხორციელდება. ამ გეგმების განხორციელებაში მათ დიდ დახმარებას გაუწევენ პროფკავშირთა ტურისტულ-საექსკურსიო დაწესებულებები. ახალგაზრდა ტურისტებს ელით საინტერესო მოგზაურობები, შეკრებები, ლაშქრობები და, რა თქმა უნდა, ყველაზე ღირსეულთ—„სსრ კავშირის ტურისტის", „სოჩი ტურისტის", მშდ-ს ნიშნები. მარშრუტები გადის ურალზე, კავკასიაზე, ბალტისპირეთში... დიდი წარმატება აქვს მოძრავ ტურისტულ ბანაკებს, რომლებიც დიდი ხანია არსებობს ლატვიასა და რიაზანში. პირველ ორ-სამ დღეს მოსწავლეები ცხოვრობენ ტურბაზაში, ემზადებიან ლაშქრობისთვის, დანარჩენ 15-18 დღეს კი ლაშქრობაში არიან. მოლაშქრეთა ცხოვრება რთულია, მაგრამ საინტერესო. ის ახალგაზრდას აჩვევს დამოუკიდებლობას, უნერგავს ვაჟკაცობას, ამხანაობას. ასეთი გამოცდა აღვივებს ერთმანეთისთვის მხარდაჭერის, კოლექტიურობის, სამშობლოს სიყვარულის გრძნობას. ფართოვდება ახალგაზრდობისთვის განკუთვნილი ბაზების ქსელი. პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთათვის აშენდება ტურბაზები ბელორუსიაში, მოლდავეთში, ლატვიაში, ლიტვაში, უზბეკეთში, ყირგიზეთში, ვოლგაზე, აზოვის ზღვაზე, ალტაიში...

— ტურიზმი უფრო სერიოზული რამაა, ვიდრე გართობა...

— კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავ: ტურიზმი — ეს აქტიური დასვენებაა. მოგზაურობა არა მარტო ამდიდრებს ტურისტებს ახალი შთაბეჭდილებებით, არამედ ფიზიკურადაც ამაგრებს მათ. ბევრ ბაზაში ტურისტებს შეუძლიათ მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება. ჩემი აზრით, ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ყველას არ შეუძლია მივიდეს სტადიონზე მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად სამუშაო დღის შემდეგ. შვებულების დროს კი ტურისტულ ბაზაში ამისთვის დრო ყოველთვის მოიძებნება.

მიმდინარე ხუთწლედში ტურისტული ღონისძიებების სერიოზულობასა და მასშტაბურობაზე ნათქვამია სკკპ XXV ყრილობაზე მიღებულ გადაწყვეტილებაში „1976-1980 წლებში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებები", აქ ნათქვამია: „მოსახლეობის ჯანმრთელობის გაკაჟებისა და თავისუფალი დროის უკეთ გამოყენების მიზნით სრულვყოთ მშრომელთა აქტიური დასვენების ორგანიზაცია..." ჩვენ ვალდებული ვართ პარტიისა და მთავრობის ყურადღებასა და ზრუნვას ვუპასუხოთ შრომით, რომელიც ხელს შეუწყობს კვირა დღეებსა და შვებულების დროს ჩვენი ქვეყნის ტურისტულ ბაზებში ჩამოსულ მშრომელთა გუნებგანწყობის გაუმჯობესებას, ჯანმრთელობის გაკაჟებას!



სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე მოსკოვში გამოფენილია მოჭადრაკეთა შეჯიბრებების ორიგინალური სადემონსტრაციო მოწყობილობა.

პერმის უნივერსიტეტის ექსპერიმენტული ფიზიკის კათედრაზე შეიქმნა ახალი ელექტრომოწყობილობა, რომელიც საჭადრაკო პარტიას იწერს მაგნიტოფონის ფირზე და შემდეგ სადემონსტრაციო ტაბლოზე გადასცემს.

სურათზე: საჭადრაკო პარტიის სადემონსტრაციო მოწყობილობა.

ნ. ხრენიკოვის ფოტო.

რამდენიმე სტრიქონით

✦ ბათუმი

ჩატარდა „განთიადის" აჭარის საოლქო საბჭოს პირველობა კალათბურთში. ქალთა გუნდებს შორის გამარჯვება მენავთობე სპორტსმენებმა მოიპოვეს. ვაჟებში უძლიერესი იყო ფეხსაცმლის ფაბრიკის გუნდი.

ლ. მურვანიძე.

✦ ზუგდიდი

დოსააფის საქალაქო კომიტეტმა ენგურქაღალდკომბინატის ავტოდრომზე ჩაატარა მრავალჭიდელთა პირველობა. მსუბუქი მანქანებით ასპარეზობაში I ადგილი დაიკავა თ. ბულიამ (ქალაქის საბჭოს კომუნალური განყოფილება) — 207 საჯარიმო ქულა. ქულით მეტი მიიღო ე. შონიამ (ენგურჰესის სამმართველოს № 3 ავტოსატრანსპორტო საწარმო). III ადგილზეა გ. იზორია (ავტოტექმომსახურების სადგური) — 212.

ბ. ალშიბაია.

✦ აბაშა

თითქმის ერთ თვეს მიმდინარეობდა „კოლმეურნის" სარაიონო საბჭოს გათამაშება „ფეხბურთში „ოქროს თავთავის" თასზე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გუნდებს შორის.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ტყვირისა და ნორიოს ფეხბურთელები. გამარჯვებულის გამოვლენას დასჭირდა ორი დღე. წარმატება წილად ხვდათ ტყვირელებს — 1:0.

რ. ჯანტურია.

რამდენიმე სტრიქონით

სსრ კავშირის
XXXVIII
საფეხბურთო
ჩემპიონატი

[illegible]

9 ივლისს მოსკოვში შედგა საკავშირო ჩემპიონატის მატჩი ადგილობრივ ცსკა-ს და ოდესის „ჩერნომორეცს“ შორის.

ანგარიში გახსნეს არმიელებმა (კოპეიკინი), ხოლო საპასუხო ბურთი გაიტანა პოგორელოვმა — 1:1.

გაფრთხილებულია კოლპოვსკი (ცსკა).

უმაღლესი ლიგა

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 11 ივლისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ თბ.	14	7	4	3	17—8	18
„დინამო“ მ.	13	7	4	2	14—7	18
„არარატი“	13	7	3	3	18—9	17
„კარპატი“	13	7	3	3	22—14	17
„შახტიორი“	14	6	4	4	14—16	16
„კრ. სოვეტ.“	14	5	5	4	14—13	15
ცსკა	13	5	4	4	19—13	14
„ჩერნომორეცი“	14	4	6	4	14—18	14
„დინამო“ კ.	13	4	5	4	11—8	13
„დინამო“ მნ.	14	5	3	6	13—16	13
„ზენიტი“	13	4	4	5	14—14	12
„დნეპრი“	14	5	2	7	16—18	12
„ტორპედო“	14	4	4	6	12—19	12
„სპარტაკი“	14	4	2	8	10—17	10
„ლოკომოტივი“	14	3	3	8	15—20	9
„ზარია“	14	2	4	8	7—20	8

გათამაშების ცხრილი

დუბლიორთა შემადგენლობანი

მდგომარეობა 11 ივლისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ თბ.	14	9	3	2	18—8	21
ცსკა	13	9	2	2	26—8	20
„დინამო“ მ.	13	7	4	2	20—10	18
„სპარტაკი“	14	7	2	5	22—14	16
„ტორპედო“	14	6	4	4	19—16	16
„შახტიორი“	14	6	4	4	13—10	16
„დინამო“ მნ.	14	5	6	3	14—12	16
„კარპატი“	13	3	9	1	16—11	15
„ზარია“	14	4	6	4	17—19	14
„დინამო“ კ.	13	5	3	5	17—16	13
„ჩერნომორეცი“	14	3	7	4	16—17	13
„არარატი“	13	3	5	5	11—16	11
„ზენიტი“	13	3	3	7	10—16	9
„დნეპრი“	14	3	2	9	10—25	8
„ლოკომოტივი“	14	1	5	8	9—18	7
„კრ. სოვეტ.“	14	0	5	9	8—30	5

I ლიგა

9 ივლისს გაიმართა ლიგის მორიგი ტურის კალენდარული მატჩები.

ქუთაისის „ტორპედოს“ შეხვედრა ჰქონდა გროზნოში ადგილობრივ „თერგთან“. ქუთაისელებმა კარგად ითამაშეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1.

სხვა მატჩების შედეგები ასეთია: „ქაირათი“ (ალმა-ათა) — „დაუგავა“ (რიგა) 2:0, „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 2:0, „პამირი“ (დუშანბე) — „ნისტრუ“ (კიშინიოვი) 2:1, „კოლხოზჩი“ (აშხაბადი) — „სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი) 1:1, „ზვეზდა“ (პერმი) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 1:0, „კუზბასი“ (კემეროვო) — „რუბინი“ (ყაზანი) 2:1, „ყუბანი“ (კრასნოდარი) — „ტავრია“ (სიმფეროპოლი) 0:2, „სპარტაკი“ (ნალჩიკი) — „ასკ (დონის როსტოვი) 1:0, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „ნეფთჩი“ (ბაქო) 0:0.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 11 ივლისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ნეფთჩი	17	10	6	1	27—13	26
„ფახთაქორი“	18	9	5	4	25—11	23
„ქაირათი“	17	8	6	3	16—9	22
„ტავრია“	17	9	3	5	29—15	21
„სპარ.“ ი.-ფ.	18	7	7	4	19—15	21
„შინიკი“	17	8	3	6	20—17	19
„ზვეზდა“	18	7	5	6	22—20	19
„კუზბასი“	18	7	5	6	19—18	19
„კოლხოზჩი“	18	7	5	6	24—31	19
„ნისტრუ“	18	6	6	6	25—21	18
„ტორპედო“	16	6	6	4	17—16	18
ასკ	18	8	2	8	18—18	18
„თერგი“	18	5	7	6	19—22	17
„პამირი“	18	5	7	6	12—18	17
„მეტალურგი“	18	6	4	8	19—18	16
„დაუგავა“	18	4	5	9	19—21	13
„სპარ.“ ორ.	17	2	9	6	11—19	13
„რუბინი“	18	2	8	8	13—24	12
„სპარ.“ ნ.	17	3	5	9	12—26	11
„ყუბანი“	18	2	6	10	12—26	10

საპატიო წოდება

სსრ კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა საკავშირო კატეგორიის მსაჯის წოდება ფეხბურთში მიანიჭა თ. ერგემლიძეს („განთიადი“, ტყიბული).

საქართველოს ჩემპიონატი

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები.

● „უნივერსიტეტი (თბილისი) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) 2:3. მსაჯი დ. აბუთიძე (ქუთაისი).

ბახტაძისა და არევაძის ზუსტი დარტყმების შემდეგ პირველი ტაიმი მოიგეს პოლიტექნიკოსებმა — 2:0. შესვენების შემდეგ ბრძოლას ძალზე დაძაბული ხასიათი მიეცა. ერთი გოლი გაქვითა ტაბუცაძემ, მერე წიკლაურმა კვლავ წინ გაიყვანა პოლიტექნიკოსები, ხოლო კილაძემ შეამცირა სხვაობა ანგარიშში.

● „ვარძია“ (ასპინძა) — „ნადიკვარი“ (თელავი) 2:3. მსაჯი ა. პაიჭაძე (ხაშური).

● „ქართლი“ (გორის რაიონი) — „ივერია“ (ხაშური) 3:2. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).

მატჩის დამთავრებას 3 წუთი აკლდა, როცა ანგარიში 2:2 იყო. სწორედ ამ დროს გაიტანა გორელმა მარტინენკომ გადამწყვეტი ბურთი მეტოქის კარში.

● „ამირანი“ (ოჩამჩირე) — „კოლხეთი“ (ხობი) 4:1. მსაჯი ნ. შავიშვილი (ბათუმი).

მასპინძლებმა მონდომებით, კოლექტიურად ითამაშეს და დამსახურებულ გამარჯვებასაც მიაღწიეს.

● „ეგრისი“ (ცხაკაია) — „მერცხალი“ (მახარაძე) 0:0. მსაჯი ნ. ამირეჯიბი (თბილისი).

● „კოლხეთი“ (ფოთი) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 2:1. მსაჯი ვ. მამინოშვილი (თბილისი).

მე-15 წუთზე გელაშვილის მიერ გატანილი ბურთი გაქვითა გეგეჭკორელმა დ. ოდიშარიამ, მაგრამ „კოლხეთმა“ მაინც შეძლო თავისი ტერიტორიული უპირატესობის გამოყენება: მეორე ტაიმის დასაწყისში მადანმა გოლი გაიტანა 11-მეტრიანი დარტყმით.

● „მეშახტე“ (ტყიბული) — „ცისარტყელა“ (წულუკიძე) 0:1. მსაჯი თ. ლაცაბიძე (თბილისი).

მასპინძლებმა ვერ გამოიყენეს ბურთის გატანის რამდენიმე კარგი შესაძლებლობა და მათ შორის პენალტიც (თოდიძე). სამაგიეროდ, „ცისარტყელის“ თავდამსხმელმა ანდრიაძემ 55-ე წუთზე შეძლო გოლის გატანა, რომელმაც გამარჯვება მოუტანა მის გუნდს.

გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 10 ივლისისთვის

I ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ნადიკვარი“	18	13	3	2	30—7	29
ფიზკ. ინსტ.	16	12	1	3	36—18	25
უნივერსიტ.	17	6	5	6	19—16	17
„განთიადი“	16	5	7	4	15—13	17
„ივერია“	17	6	5	6	19—19	17
პოლიტ. ინსტ.	17	6	3	8	22—32	15
„დურუჯი“	16	3	8	5	19—21	14
„ვარძია“	17	5	4	8	18—26	14
ასკ თბ.	16	3	7	6	15—20	13
„ქართლი“	17	5	3	9	14—26	13
„მადნეული“	17	4	2	11	19—28	10

II ზონა

„მეშახტე“	19	12	2	5	28—14	26
„მერცხალი“	19	11	4	4	24—15	26
„სალხინო“	19	7	8	4	26—18	22
„ეგრისი“	19	9	4	6	23—18	22
„დინამო“	19	9	3	7	32—25	21
„კოლხეთი“ ფ.	19	6	6	7	21—17	18
„კოლხეთი“ ხ.	19	6	5	8	21—23	17
„მეტალურგი“	18	6	4	8	17—25	16
„ცისარტყელა“	19	7	2	10	13—21	16
„ამირანი“	19	6	3	10	26—33	15
„კოლმეურნე“	18	4	6	8	19—31	14
„შუქურა“	19	5	3	11	17—27	13

[illegible]

განვლილ ტურში ცხაკაიელმა თ. ქირიამ გაფრთხილება მიიღო მსაჯისგან, რაც მისთვის მეორე შემთხვევაა წლეულს.

გაფრთხილებული არიან: ნ. ჩხარტიშვილი („მერცხალი“, მახარაძე), ვ. კოჟემიაკოვი („სამგურალი“, წყალტუბო), თ. ულუმბელაშვილი („ცისარტყელა“, წულუკიძე), თ. მახარაძე („შუქურა“, ქობულეთი), ბ. კვირკველია („მერცხალი“, მახარაძე).

რესპუბლიკური სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო.

ბავშვთა ფეხბურთის აღმავლობისთვის

ყველასთვის კარგად ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფეხბურთის შემდგომი აღმავლობისთვის, საერთო ოსტატობის წინსვლისთვის ბავშვთა და მოზარდთა შორის სპორტის ამ სახეობის მასობრივად დანერგვას, ნიჭიერ, პერსპექტიულ მოთამაშეთა შერჩევას, სპეციალიზებულ საფეხბურთო სკოლებსა და გუნდებში სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის მაღალ ორგანიზაციულ დონეზე დაყენებას. ბავშვთა ფეხბურთი — ეს ის დიდი რეზერვია, საიდანაც უნდა აღვზარდოთ ოსტატთა მაღალკვალიფიციური კადრები, ჩვენი მოწინავე გუნდების ღირსეული ცვლა.

სულ ახლახან სსრ კავშირის ახალგაზრდულმა და ჭაბუკთა ნაკრებმა კოლექტივებმა შესანიშნავ წარმატებას მიაღწიეს დიდი მასშტაბის ოფიციალურ შეჯიბრებებში. ახალგაზრდები ევროპის ჩემპიონები გახდნენ, ხოლო ჭაბუკებმა პირველი ადგილი დაიკავეს ევროპის არაოფიციალურ ჩემპიონატში და მოიპოვეს უეფა-ს საპატიო პრიზი. ეს ძალზე მნიშვნელოვანი მიღწევებია, ამასთან სასიხარულოა, რომ ორივე ამ ნაკრების ძირითად შემადგენლობებში წარმატებით გამოდიოდნენ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები — დ. ყიფიანი, ვ. გუცაევი და ვ. დარასელია.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა ამ მიღწევათა მიღმა არ დაგვენახა ის ნაკლოვანებები, რომლებიც ჯერ კიდევ გვაქვს და რომელთა გამოსწორება კიდევ უფრო წინ წასწევდა ფეხბურთის განვითარებას ჩვენში.

სწორედ ამ პრობლემების გადასაჭრელად მოეწყო ამას წინათ სსრ კავშირის სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოში გაფართოებული თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ ყველა რესპუბლიკის სპორტკომიტეტების ფეხბურთის სამმართველოებისა და განყოფილებების უფროსები, სპეციალისტები, მწვრთნელები. თათბირის ერთ-ერთი მთავარი საკითხი იყო სასწავლო საწვრთნელი მუშაობის ახალ რეჟიმზე გადასვლა სპეციალიზებულ სპორტულ სკოლებში და ოსტატთა გუნდებთან არსებული მოსამზადებელი ჯგუფების რეორგანიზაციის მსვლელობა.

საქმე ეხება იმ დიდ სიახლეებს, რომლებიც უნდა მოხდეს ბავშვთა და მოზარდთა ფეხბურთში. არსებობს სსრ კავშირის განათლების სამინისტროსა და ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის 1974 წლის ერთობლივი დადგენილება „საერთო-საგანმანათლებლო სკოლებში სპეციალიზებული კლასების გახსნის შესახებ სპორტის სახეობათა მიხედვით სწავლების გახანგრძლივებული დღით და გაღრმავებული სასწავლო-საწვრთნელი პროცესით არასასწავლო დროს“, რაც გულისხმობს გაძლიერებული სპეცკლასების შექმნას, ყოველდღიურ ორჯერად წვრთნას, კვებას, ახალი ბაზების აგებას, არსებულის რეკონსტრუქციას, მოზარდ ფეხბურთელებთან ყოველდღიური, გეგმაზომიერი მუშაობის გაძლიერებას, პერსპექტიულ სპორტსმენთა უნარიან შერჩევას, აღზრდას და ა. შ.

როგორც ხედავთ, საერთო-საგანმანათლებლო სკოლებში სპეციალიზებული კლასების გახსნა გახანგრძლივებული დღისა და გაღრმავებული სწავლების პროგრამით ბავშვებთან და ჭაბუკებთან მომუშავე სპეციალისტების წინაშე გაზრდილ მოთხოვნებს აყენებს, მოითხოვს მუშაობის კარდინალურად გარდაქმნას ახალი პროგრამის შესაბამისად. მომავალი ოსტატის აღზრდა პირველდაწყებითი კლასებიდანვე უნდა მოხდეს მეცნიერების უახლესი მიღწევების დონეზე, ბოლო მოეღოს კუსტარულობას და საქმისადმი ვიწროსაუწყებო მიდგომას. დასამალი არაა, რომ ბევრი ჩვენი მწვრთნელი ფიქრობს მხოლოდ იმაზე, რომ გარკვეული შეჯიბრებებისთვის მოამზადოს გუნდი, დააგროვოს ქულები, დაიკავოს რაღაც ადგილი, ხოლო ნიჭიერ ბავშვთა გამოძებნა, მათი აღზრდა, ყოველდღიური გულმოდგინე მეცადინეობა მეორეხარისხოვან საქმედ მიაჩნია და სწორედ ამიტომაა, რომ ჯერ არავის უნახავს ასეთების მიერ ხეირიანად მომზადებული ფეხბურთელი.

საქართველოს სპორტკომიტეტმა საგანგებო მიმართვები დაუგზავნა განათლების სამინისტროს, თბილისის განათლების განყოფილებას, პროფკავშირებს, სპორტსაზოგადოება „დინამოს“ სპეცკლასების შექმნის თაობაზე. ახლავე, საორგანიზაციო პერიოდში მთელი სერიოზულობით, მაღალ დონეზე უნდა წარიმართოს საქმე, რათა სექტემბრისთვის ყველაფერი სრულ წესრიგში გვქონდეს და უკვე პირველივე ნაბიჯები ნაყოფიერი გახდეს. სპეცკლასების გახსნა პირველ ყოვლისა ნავარაუდევია თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში, რუსთავში, გორში, ფოთში, მახარაძეში, სამტრედიაში, ზუგდიდში, ოჩამჩირეში, ლანჩხუთში, ჭიათურაში.

გაძლიერებული სპეცკლასები ახლა არსებობს მხოლოდ უკრაინაში (6 ჯგუფი) და ბელორუსიაში (1 ჯგუფი). ნავარაუდევი გვაქვს მოძმე რესპუბლიკების გამოცდილების გადმოღების მიზნით კიევში გავაგზავნოთ სპეციალისტთა ჯგუფი და შევისწავლოთ მათი საქმიანობა.

სიძნელეები პირველ ხანებში, რასაკვირველია, იქნება. ამიტომ ადგილებზე მომუშავეებმა კონსულტაციისთვის უნდა მიმართონ რესპუბლიკური სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს, მოეწყობა სპეციალური თათბირი ამ მეტად მნიშვნელოვანი. საჭირო საქმის მაღალ დონეზე ორგანიზებისთვის. ვისაც კი ეს ეხება, აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს და თავისი წვლილი შეიტანოს ფეხბურთის მომავალ ოსტატთა აღზრდის საქმეში.

ა. ჭკუასელი,
საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსი, სპორტის ოსტატი.

გაიმარჯვა „ივერიამ“

რუსთავის ბაზებზე დამთავრდა „ტყავის ბურთის“ თასის რესპუბლიკური ფინალური ტურნირი უმცროსი ასაკის ნორჩ ფეხბურთელთათვის (1965-66 წლებში დაბადებულნი).

გადამწყვეტ მატჩში საპატიო პრიზისთვის ერმთანეთს შეხვდნენ თბილისის „ივერია“ და აბაშის „განთიადი“. თბილისელებმა (მწვრთნელი ჭ. ლეჟავა) მხოლოდ დაძაბულ ბრძოლაში შეძლეს მეტოქის დამარცხება — 2:1.

ასევე მწვავედ მიმდინარეობდა ბრძოლა III ადგილისთვის. გორელმა ფეხბურთელებმა მოუგეს სოხუმელ თანატოლებს — 3:2.

ტურნირში დაწესებული იყო სპეციალური ჯილდოები ცალკეული მოთამაშეებისთვის. საპატიო პრიზებით დაჯილდოვდნენ შემდეგი ფეხბურთელები: საუკეთესო მეკარე — ნ. შენგელია (აბაშა), საუკეთესო მცველი — დ. ტურაშვილი (რუსთავი), საუკეთესო ნახევარმცველი — დ. ლეჟავა (თბილისი), საუკეთესო თავდამსხმელი — დ. ბერაძე (რუსთავი), საუკეთესო ბომბარდირი — გ. კეტაშვილი (თბილისი), ყველაზე ტექნიკური მოთამაშე — მ. კაზაშვილი (გორი). გათამაშების საუკეთესო ნომ[illegible]ედ მიჩნეულია თბილისელი ნ. ბერძენული. პრიზი „გამარჯვებისადმი სწრაფვისთვის“ მიეკუთვნა ოჩამჩირელთა კოლექტივს.

უნდა აღინიშნოს, რომ ტურნირი ჩატარდა მაღალ ორგანიზაციულ დონეზე, რუსთავში ჩამოსულ ნორჩ ფეხბურთელებს მრავალი საინტერესო ღონისძიება გაუმართეს. დაათვალიერებინეს ქალაქის ღირსშესანიშნაობანი.

ი. მეძღლიშვილი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

უეფა-ს ტურნირების წილისყრა

6 ივლისს უეფა-ს საშტაბო ბინაზე ციურიხში მოეწყო ფეხბურთში ევროპის სამივე საკლუბო ტურნირის მონაწილეთა წილისყრა. მისი შედეგები ასეთია:

ჩემპიონთა თასი

„დინამო“ (კიევი) — იუგოსლავიის ჩემპიონი
„ლივერპული“ (ინგლისი) — „კრუზეიდერსი“ (ბელფასტი, ჩრ. ირლანდია)
„ფერენცვაროში“ (ბუდაპეშტი, უნგრეთი) — „ჟენესი“ (ეში, ლუქსემბურგი)
ცსკა — „სეპტემვრიისკო ზნამე“ (სოფია, ბულგარეთი) — „სენტ-ეტიენი“ (საფრანგეთი)
„დანდელკი“ (ირლანდია) — ფშვ „ეინდჰოვენი“ (ჰოლანდია)
„აუსტრია“ (ვენა, ავსტრია) — „ბორუსია“ (მიონხენგლადბახი, გფრ)
„სტალი“ (მელეცი, პოლონეთი) — „რეალი“ (მადრიდი, ესპანეთი)
„დინამო“ (დრეზდენი, გდრ) — „ბენფიკა“ (ლისაბონი, პორტუგალია)
„გლაზგო რეინჯერსი“ (შოტლანდია) — „ციურიხი“ (შვეიცარია)
„ბაიერნი“ (მიუნხენი, გფრ) — „კეგე ბკ“ (დანია)
„ბრიუგე“ (ბელგია) — „სტიაუა“ (ბუქარესტი, რუმინეთი)
„ომონია“ (ნიქოზია, კიპროსი) — პაოკ (სალონიკი, საბერძნეთი)
„ტორინო“ (ტურინი, იტალია) — „მალმიო“ (შვეცია)
„აკრანესი“ (რეიკიავიკი, ისლანდია) — „ტრაბზონსპორი“ (თურქეთი)
„ვიკინგი“ (სტავანგერი, ნორვეგია) — „ბანიკი“ (ოსტრავა, ჩეხოსლოვაკია)
„სლიემა უონდერერსი“ (ლა-ვალეტა, მალტა) — „კუოპიო პალოსეურა“ (ფინეთი).

თასების თასი

„კარდიფ სიტისა“ (უელსი) და „სერვეტს“ (ჟენევა, შვეიცარია) შორის გამარჯვებული — სსრ კავშირის 1976 წლის თასის მფლობელი
„ჰამბურგი“ (გფრ) — „კეფლავიკი“ (ისლანდია)
„ანდერლეხტი“ (ბრიუსელი, ბელგია) — „როდა“ (კერკრადე, ჰოლანდია)
მტკ (ბუდაპეშტი, უნგრეთი) — „სპარტა“ (პრაღა, ჩეხოსლოვაკია)
„რაპიდი“ (ვენა, ავსტრია) — „ატლეტიკო“ (მადრიდი, ესპანეთი)
„ლოკომოტივი“ (ლაიფციგი, გდრ) — „ჰარტს ოფ მიდლოტიანი“ (შოტლანდია)
„ფლორიანა“ — (ლა-ვალეტა, მალტა) — „შლიონსკი“ (ვროცლავი, პოლონეთი)
„ბოჰ[illegible]ნსი“ (დუბლინი, ირლანდია) — „ესბერგი“ (დანია)
„საუთ[illegible]ონი“ (ინგლისი) — „ოლიმპიკი“ (მარსელი, საფრანგეთი)
აიკ (სტოკჰოლმი, შვეცია) — „გალათასარაი“ (სტამბოლი, თურქეთი)
„ლევსკი-სპარტაკი“ (სოფია, ბულგარეთი) — „რეიპასი“ (ლაჰტი, ფინეთი)
„ლერსი“ (ბელგია) — „ჰაიდუკი“ (სპლიტი) ან „დინამო“ (ზაგრები, იუგოსლავია)
„გალაცი“ (რუმინეთი) — „ბოავისტა“ (პორტო, პორტუგალია)
„კარიკ რეინჯერსი“ (ჩრ. ირლანდია) — „არისი“ (ბონევეგი, ლუქსემბურგი)
„ბოდო გლინტი“ (ნორვეგია) — „ნაპოლი“ (ნეაპოლი, იტალია)
„ირაკლისი“ (სალონიკი, საბერძნეთი) — „აპოელი“ (ნიქოზია, კიპროსი).

(დასასრული მე-4 გვ.).

ფეხბურთი

უეფა-ს ტურნირების წილისყრა

უეფა-ს თასი

„შახტიორი“ (დონეცკი) — „დინამო“ (ბერლინი, გდრ)
აეკ (ათენი, საბერძნეთი) — სსრ კავშირის საგაზაფხულო ჩემპიონატში გამარჯვებული
„კიოლნი“ (გფრ) — გკს (ტიხი, პოლონეთი)
„ნესტვედი“ (დანია) — „რესინგ უაიტი“ (მოლენბეკი, ბელგია)
„კუოპიო“ (ფინეთი) — „ესტერი“ (ვეკშე, შვეცია)
„ფეიენოორდი“ (როტერდამი, ჰოლანდია) — „იურგორდენი“ (სტოკჰოლმი, შვეცია)
„გლენტორანი“ (ბელფასტი, ჩრ. ირლანდია) — „ბაზელი“ (შვეიცარია)
„ფრამი“ (რეიკიავიკი, ისლანდია) — „სლოვანი“ (ბრატისლავა, ჩეხოსლოვაკია)
„ქუინზ პარკი“ (ლონდონი, ინგლისი) — „ბრანი“ (ოსლო, ნორვეგია)
„სელტიკი“ (გლაზგო, შოტლანდია) — „ვისლა“ (კრაკოვი, პოლონეთი)
„სვაროვსკი-ვაკერი“ (ინსბრუკი, ავსტრია) — „სტარტი“ (ქრისტიანსანი, ნორვეგია)
„აინტრაქტი“ (ბრაუნშვეიგი, გფრ) — „ჰოლბეკი“ (დანია)
„აიაქსი“ (ამსტერდამი, ჰოლანდია) — „მანჩესტერ იუნაიტედი“ (ინგლისი)
„ბელენენსეში“ (ლისაბონი, პორტუგალია) — „ბარსელონა“ (ესპანეთი)
„ჰიბერნიანი“ (ედინბურგი, შოტლანდია) — „სოშო“ (საფრანგეთი)
„მანჩესტერ სიტი“ (ინგლისი) — „იუვენტუსი“ (ტურინი, იტალია)
„პორტო“ (პორტუგალია) — „შალკე-04“ (გელზენკირჰენი, გფრ)
„ესპანიოლი“ (ბარსელონა, ესპანეთი) — „ნიცა“ (საფრანგეთი)
„გრასჰოპერსი“ (ციურიხი, შვეიცარია) — „ჰიბერნიანსი“ (ლა-ვალეტა, მალტა)
„უიპეშტ-დოჟა“ (უნგრეთი) — „ატლეტიკო“ (ბილბაო, ესპანეთი)
„დინამო“ (ბუქარესტი, რუმინეთი) — „მილანი“ (იტალია)
„ატლეტიკ იუნიონი“ (პარალიმნი, კვიპროსი) — „კაიზერსლაუტერნი“ (გფრ)
„სლავია“ (პრაღა, ჩეხოსლოვაკია) — „აკადემიკი“ (სოფია, ბულგარეთი)
„მაგდებურგი“ (გდრ) — „ჩეზენა“ (იტალია)
„ფენერბახჩე“ (სტამბოლი, თურქეთი) — „ვიდეოტონი“ (სეკეშფეჰერვარი, უნგრეთი)
ასა (ტირგუ-მურეში, რუმინეთი) — იუგოსლავიის პირველი წარმომადგენელი
„ინტერნაციონალე“ (მილანი, იტალია) — „ჰონვედი“ (ბუდაპეშტი, უნგრეთი)
„ლოკომოტივი“ (პლოვდივი, ბულგარეთი) — იუგოსლავიის მეორე წარმომადგენელი
„აუსტრია“ (ზალცბურგი, ავსტრია) — „ადანასპორი“ (თურქეთი)
„სპორტულ სტუდენტესი“ (ბუქარესტი, რუმინეთი) — „ოლიმპიაკოსი“ (პირეოსი, საბერძნეთი).

შენიშვნები: უეფა-ს ტურნირზე საბჭოთა ფეხბურთის წარმომადგენლობა შეიძლება შეიცვალოს თუ დონეცკის „შახტიორი“ მოიგებს თასს, ან ერევნის „არარატი“ გააკეთებს დუბლს.

როგორც ცნობილია, მადრიდის „რეალი“ დისკვალიფიცირებული იყო მის სტადიონზე მომხდარ უწესრიგობათა გამო. შემდგომში ეს გადაწყვეტილება შეიცვალა, „რეალი“ დაუშვეს ტურნირში, მაგრამ გუნდი პირველ 3 მატჩს თავის სტადიონზე ვერ ჩაატარებს და უნდა ითამაშოს ამორჩევით რომელიმე ქალაქში, რომელიც მადრიდს დაცილებულია არანაკლებ 300 კილომეტრით.

45-ე საკავშირო...

ლატვიის საკურორტო ქალაქ იურმალაში დაიწყო სსრ კავშირის 45-ე პირადი ჩემპიონატი ჩოგბურთში. პირველობაში 37 ქალი და 56 ვაჟი მონაწილეობს. ისინი დაყოფილი არიან 8 ქვეჯგუფად და წრიული სისტემით იბრძვიან II ეტაპზე გასასვლელად. თითოეული ქვეჯგუფიდან პირველ სამ ადგილზე გასულ სპორტსმენებს შეუერთდებიან ცნობილი საბჭოთა ჩოგბურთელები ო. მოროზოვა, ა. მეტრეველი, თ. კაკულია და სხვ.

შეჯიბრების პირველ დღეს რიგელმა როზენტალსმა დაძაბულ ორთაბრძოლაში სძლია მოსკოველ ვალენცოვს — 4:6, 6:4, 6:4. ქალთა პირველობის I ტურში იუშკამ დაამარცხა ბუშუ — 6:3, 5:7, 6:4. მიკლაშევსკაიამ სძლია სუხანოვას — 6:1, 2:6, 6:3.

მეორე დღეს პესჩანკომ იოლად სძლია ვორობიოვს — 7:5, 6:2. ევინგმა ფარ-ხმალი დააყრევინა პავლოვს — 6:0, 6:1. დუშანბელმა ბაბიკოვმა უმძაფრეს ბრძოლაში დაამარცხა ესტონელი ლაპიმაა — 6:7, 7:5, 7:5. ლენინგრადელმა ბურამ მოუგო ცნობილ ესტონელ ჩოგბურთელს ლამპს — 6:3, 2:6, 7:5. ნაგოროდნიმ მოუგო გავრილოვს — 6:1, 7:5. მოლოკოედოვმა სძლია ჩობაკს — 4:6, 6:3, 6:0.

მესამე ტურში ბაქოელი ს. ლიხაჩოვი უაღრესად დაძაბულ პაექრობაში დამარცხდა 17 წლის ლვოველ ზალუჟნისთან. 18 წლის გია ელერდაშვილმა მოუგო გამოცდილ ლამპს. ქალებში კიეველმა შევჩენკომ მოუგო მოსკოველ პატრულინას.

შტანგა დროის სასწორზე

ძლიერი ადამიანები ყოველ დროში აღტაცებასა და პატივისცემას იწვევდნენ. ისტორიკოსები და ჟამთააღმწერლები ცნობილ ძალოსნებს აქებდნენ არა ნაკლებ, ვიდრე ბევრ განთქმულ პიროვნებას. ისტორიულ ქრონიკებში აღტაცებულ სტრიქონებს უძღვნიან ძველი დროის ოლიმპიურ თამაშებში ექვსზის გამარჯვებულ მილონს, რომელიც ჩვენს ერამდე VI საუკუნეში ცხოვრობდა. ერთხელ მან გაჭიმულ ხელებზე ხარი ასწია, შემდეგ კისერზე გაიდო და ამ ტვირთით წრე შემოარტყა სტადიონს. ხარის ზუსტი წონის მიუთითებლადაც კი (თუმცა ზოგიერთ სკეპტიკოს მაინცადამაინც სურდა ამის დადგენა) მილონის საქციელი სპორტული თვალსაზრისით დღესაც შთამბეჭდავია...

ჩვენს დღეებშიც ყველაზე ღონიერ ადამიანებად ძალოსნები ითვლებიან, ისინი, ვისი რეკორდებიც გვაკვირვებს, არა მარტო კილოგრამების რაოდენობით, არამედ ზრდის დინამიკითაც. გამოირკვა, რომ საუკუნეში, როცა წარმოების სფეროში კუნთების ღონე წარმატებით შეცვალა ჭკვიანი მანქანების ეფექტურმა მუშაობამ, სპორტში სულ უფრო ფართოდ იხსნება ადამიანის ფიზიკური შესაძლებლობა. ამ სიტუაციის პარადოქსულობა უბრალოდ აიხსნება: სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია არა მარტო ცხოვრების ყველა სფეროში ვლინდება, არამედ არ შეიძლება გვერდი აევლო სპორტსმენებისთვისაც. სპორტსმენებს მაღალი შედეგების მიღწევაში ეხმარება ახალი გამოკვლევები ფიზიოლოგიასა და სხვა მეცნიერებებში, საწვრთნელი პროცესის სრულყოფა, კვებისა და აღდგენის საკითხების უფრო ღრმად დამუშავება და ა. შ.

ძალოსანთა შორის ყველაზე მეტ აღტაცებას იმსახურებენ მძიმეწონოსნები, რომლებიც სპორტული ძლიერების გამომხატველები არიან. აგერ უკვე 15 წელია ლიდერობას საბჭოთა ძალოსნები ინარჩუნებენ. ი. ვლასოვის, ლ. ჟაბოტინსკისა და ვ. ალექსეევის სახელები ფართოდაა ცნობილი.

უკვე დღეს უდიდეს ინტერესს იწვევს დედამიწის ზურგზე ყველაზე ღონიერი ადამიანების მომავალი შეხვედრა მონრეალის ოლიმპიურ ფიცარნაგზე. მართლაც, ვინ უფრო ძლიერია — ალექსეევი — 1972 წლის თამაშებში გამარჯვებული, ბულგარელი ხ. პლაჩკოვი თუ გდრ-ის ძალოსანი ჰ. ბონკი? ერთ წელზე ცოტა მეტი ხნის წინათ პასუხი მხოლოდ ასეთი იქნებოდა — ალექსეევი. მაგრამ ბოლო წლის მანძილზე მეტოქეები აშკარად წინ წავიდნენ. მათ რამდენჯერმე გააუმჯობესეს ალექსეევის მიღწევები, რომელსაც ახლა მხოლოდ ერთი მსოფლიო რეკორდი ეკუთვნის — ორჭიდის ჯამში — 435 კგ. პლაჩკოვს ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს ატაცში — 198 კგ, ხოლო ბონკს აკვრაში — 252,5. სხვათა შორის, ორივე ძალოსანს მაღალი შედეგები აქვს ორჭიდშიც — 432,5 კგ.

34 წლის რიაზანელი ინჟინრის (მისი წონა 154 კილოგრამია) მეტოქეები ბევრად ახალგაზრდები არიან. ოლიმპიურ ფიცარნაგზე გამოსვლისთვის პლაჩკოვი 24 წლის არ იქნება, ხოლო ბონკი — ოცდახუთისა. პირველი იწონის 137 კგ-ს, ხოლო მეორე — დაახლოებით 154-ს. ალექსეევის უფრო სოლიდური ასაკი დიდი გამოცდილებით, საოცარი მიზანდასახულობითა და ნებისყოფითაა ანაზღაურებული, ამიტომ საბჭოთა ჩემპიონმა, რომელმაც მსოფლიო რეკორდებზე იერიში 1970 წლის 26 იანვარს დაიწყო, ჯერჯერობით წაგება არ იცის.

მრავალი გაგებით, ვ. ალექსეევი უნიკალური მოვლენაა სპორტში. არც ერთ სპორტსმენს ამდენი მსოფლიო რეკორდი არ დაუმყარებია მთელი სპორტული კარიერის მანძილზე. სულ ახლახან ყარაგანდაში ჩატარებულ საკავშირო ჩემპიონატში მან 435 კგ აჩვენა და მსოფლიო მიღწევების ცხრილში 76-ე შესწორება შეიტანა. მანამდე უკეთესი მაჩვენებლები ჰქონდა ი. ვლასოვს, რომელმაც თავისი სპორტული კარიერის მანძილზე 28 მსოფლიო რეკორდი დაამყარა (ახლა ამ მაჩვენებელს გადააჭარბა დ. რიგერტმაც, რომლის ანგარიშზეა 52 მსოფლიო რეკორდი).

მაგრამ სპორტში არ შეიძლება მხოლოდ უწინდელი დამსახურებებით ცხოვრება. წოდებები და უწინდელი მიღწევები ანგარიშში არ ჩაითვლება. შეძლებს ალექსეევი წინ აღუდგეს ახალგაზრდა მეტოქეების შემოტევას?

პასუხი ამ კითხვაზე თვითონ ჩემპიონმა გასცა ყარაგანდის რეკორდით. საკდესის კორესპონდენტთან საუბარში მან თქვა, რომ მონრეალის ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებისთვის საჭირო იქნება დაახლოებით 435 კგ ან ცოტა მეტი. „თუ საჭირო იქნება, უკეთეს შედეგსაც მოვიპოვებ,“ — თქვა ალექსეევმა.

რამდენიმე დღით ადრე ბერლინის რადიოს თანამშრომლის კითხვაზე პასუხის გაცემის დროს ბონკმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ოლიმპიადის ხარბიელზე გამარჯვებისთვის საჭირო იქნება ასეთი შედეგი: ატაცი — 190 კგ, აკვრა — 260 ანუ ორჭიდის ჯამში 450 კგ. პროგნოზებში განსხვავება საკმაოდ დიდია. მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ასეთი საპასუხისმგებლო სტარტების წინ სპორტსმენები ცდილობენ კარტები არ გახსნან. პლაჩკოვი კი, ჩვეულებისამებრ, სიჩუმეს ამჯობინებს.

სადაა ჭეშმარიტება? ვფიქრობ, სადღაც დასახელებულ ციფრებს შუა. აქ დროული იქნება გავიხსენოთ ბოლო წლების ოლიმპიური ჩემპიონების შედეგები (იანგარიშება ატაცი და აკვრა, ვინაიდან ორჭიდი მხოლოდ 1972 წლის ოლიმპიური თამაშების შემდეგ შევიდა ძალაში).

1952 წ. ჰელსინკი. ჯონ დევისი (აშშ) — 310 (145+165). 1956 წ. მელბურნი. პაულ ანდერსონი (აშშ) — 332,5 (145+187,5). 1960 წ. რომი. იური ვლასოვი (სსრ კავშირი) — 357,5 (155+202,5). 1964 წ. ტოკიო. ლეონიდ ჟაბოტინსკი (სსრ კავშირი) — 385 (167,5+217,5). 1968 წ. მეხიკო. ლეონიდ ჟაბოტინსკი (სსრ კავშირი) — 372,5 (170+202,5). 1972 წ. მიუნჰენი. ვასილ ალექსეევი (სსრ კავშირი) — 405 (175+230).

ეს ჩამოთვლა ნათლად გვიჩვენებს, რომ ოთხი წლის მანძილზე ჩემპიონთა შედეგების ზრდა არასოდეს აღემატებოდა 35 კგ-ს. სხვათა შორის ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა გ. შიოდლმა სწორედ 440 კგ დაასახელა, როგორც მეორე მძიმე წონაში ოლიმპიური ჩემპიონის შედეგი.

ყარაგანდაში ოლიმპიურმა ჩემპიონმა ორჭიდში 435 კგ აჩვენა, მაგრამ თუ შევკრებთ მის საუკეთესო მაჩვენებლებს ცალკეულ მოძრაობებში ატაცსა (187,5) და აკვრაში (250), მაშინ შედეგი 2,5 კილოგრამით მეტი გამოდის. ქვეყნის ჩემპიონატში ალექსეევი საუკეთესო ფორმაში ვერ იყო და ეს ნაადრევიც გახლდათ, ვინაიდან ოლიმპიადამდე მთელი ორი თვე რჩებოდა. მიუხედავად ამისა, სპორტსმენმა ამოცანა შეასრულა: დაიბრუნა რეკორდი ორჭიდში, თუმცა ექვსი ჩასათვლელი ცდიდან წარმატებით გამოიყენა მხოლოდ სამი, რაც იშვიათად მოსდის.

საბჭოთა ათლეტის უფრო ახალგაზრდა ოპონენტები, სულ ახლახან რომ მიაღწიეს დიდ წარმატებას (ბონკმა ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა წლეულს, როცა ალექსეევი შეჯიბრებაში არ მონაწილეობდა), მონრეალში საუკეთესო შედეგების მოსაპოვებლად ემზადებიან. გამარჯვებისთვის საჭირო იქნება ერთი ან ორი მსოფლიო რეკორდის დამყარება შეიძლება სამივესიც კი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სპორტში ადამიანის შესაძლებლობათა უსაზღვრობის მოწმენი გავხდებით.

სხვა თანაბარ პირობებში ოლიმპიური კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავა არა მარტო ძლიერი, არამედ ყველაზე მტკიცე ნებისყოფის ძალოსანი, რომელიც მძაფრ ჭიდილში შეძლებს დაძლიოს სწორედ გამარჯვების კილოგრამები. ალექსეევმა კი ყველაზე უკეთ იცის ნებისყოფის დაძაბვა სწორედ იმ მომენტში როცა ოქროს მედლების ბედი წყდება. ამიტომ მას შეუძლია გამარჯვება...

* * *

როცა ეს მასალა დაწერილი იყო, თავისი სიტყვა თქვა ხ. პლაჩკოვმა, რომელმაც მსოფლიო რეკორდები დაამყარა ატაცსა (200 კგ) და ორჭიდში (442,5). ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს ოლიმპიური ჩემპიონის შედეგების შესახებ წინასწარ პროგნოზებს. მაგრამ დაუსწრებელი მეტოქეობა ჯერ კიდევ ვერ შეგვიქმნის წარმოდგენას პლანეტის უღონიერესი ადამიანების მომავალი შეხვედრის ხასიათსა და დონეზე. აქ ძალაში შევა ბრძოლის სხვა კანონები.

ი. ხრომოვი.
(საკდესის კორ.).

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

„ფენერბახჩეს“ იცავენ... ჯარისკაცები

თურქეთის ცნობილმა კლუბმა „ფენერბახჩემ“ იმდენი თამაში წააგო ზედიზედ, რომ თავისი გულშემატკივრები მოთმინებიდან გამოიყვანა. მათ ვარჯიშებზე დაიწყეს სიარული და ფეხბურთელებს ათას რამეს ესროდნენ. „ფენერბახჩეს“ ხელმძღვანელობამ მონახა გამოსავალი — ახლა ფეხბურთელებს ვარჯიშის დროს ჯარისკაცები და მეხანძრეები იცავენ.

58 მატჩი ზედიზედ

ევროპის ჩემპიონატის ფინალური მატჩები ჩეხოსლოვაკიის ნაკრებთან გფრ-ის გუნდის კაპიტან ბეკენბაუერისთვის მეასე იყო ამ კოლექტივში. ამას გარდა, ბეკენბაუერმა ამ დღეს თავისი ქვეყნის ნაკრებში ზედიზედ 58-ედ ითამაშა, ამით მან გააუმჯობესა განთქმული უნგრელი ცენტრალური მცველის შიპოშის რეკორდი, რომელიც თავის ეროვნულ ნაკრებში ზედიზედ 57-ჯერ გამოვიდა.

ბოლო ტურის წინ

მანილაში მთავრდება საზონათშორისო საჭადრაკო ტურნირი. ბოლო ტურის წინ მოეწყო შეხვედრები გადადებული პარტიების დასამთავრებლად, მაგრამ ამ შეხვედრებს მოულოდნელი არაფერი მოუტანია. მხოლოდ ის შეიძლება აღინიშნოს, რომ ლ. პოლუგაევსკიმ (სსრ კავშირი), რომელსაც პაიკში ზედმეტი ხარისხი ჰქონდა, იტალიელ ს. მარიოტისთან, პარტიაში ვერ გამოიყენა თავისი უპირატესობა და ყაიმს დასჯერდა.

მეორე საბჭოთა დიდოსტატმა ვ. ცეშკოვსკიმ შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ, 67-ე სვლაზე დაამარცხა კანადელი პ. ბიასასი, ხოლო ვ. ულმანთან (გდრ) შეხვედრა ყაიმით დაამთავრა. ყაიმით დამთავრდა, აგრეთვე, ი. ბალაშოვის (სსრ კავშირი) შეხვედრები ე. მეკინგთან (ბრაზილია) და ვ. ჰორტთან (ჩეხოსლოვაკია), ბ. სპასკისა (სსრ კავშირი) — ფ. გეორგიუსთან (რუმინეთი).

სამი პარტია ჰქონდა დასამთავრებელი იუგოსლაველ დიდოსტატს ლ. ლიუბოევიჩს. მან ფინიშზე დიდი მონდომება და შეუპოვრობა გამოიჩინა, რათა ტურნირის ლიდერთა ჯგუფს დასწეოდა. ვ. ჰორტი თამაშის განუახლებლად დანებდა იუგოსლაველ მოჭადრაკეს. ლ. ლიუბოევიჩმა ამერიკელ უ. ბრაუნს მოუგო, ხოლო ვ. ულმანს ყაიმზე შეუთანხმდა.

რა მდგომარეობაა სატურნირო ცხრილში ბოლო, XIX ტურის წინ? პირველობს ბრაზილიელი ე. მეკინგი, რომელსაც 12,5 ქულა აქვს. 12-12 ქულა დაუგროვდათ ვ. ჰორტსა და ლ. პოლუგაევსკის. 11,5 ქულა აქვს ვ. ცეშკოვსკის, 11-11 — ლიუბოევიჩსა და უნგრელ ზ. რიბლის.

ე. მეკინგი ბოლო ტურში თეთრებით თამაშობს ფილიპინების წარმომადგენელ ე. ტორესთან, რომელიც ამ ტურნირში წარუმატებლად გამოდის. უნდა ვივარაუდოთ, რომ პრეტენდენტთა მატჩების ერთ-ერთი საგზური და ალბათ პირველი პრიზიც, ბრაზილიელს ჯიბეში უდევს. ლ. პოლუგაევსკი ბოლო ტურში თეთრებით თამაშობს ლ. კავალეკთან (აშშ). ვ. ჰორტი, ასევე თეთრებით ხვდება ზ. რიბლის. ვ. ცეშკოვსკი და ლ. ლიუბოევიჩი შავებით თამაშობენ: საბჭოთა მოჭადრაკე ლ. პახმანთან (გფრ), იუგოსლაველი — პ. ბიასასთან.

ზემოდასახელებულ შეხვედრათა შედეგებზეა დამოკიდებული პრეტენდენტთა მატჩების სამი საგზურის ბედი. გამორიცხული არ არის, რომ საპრიზო ადგილები გასაყოფი გახდეს. ამ შემთხვევაში ფიდე-მ უნდა მოაწყოს დამატებითი მატჩი ან მატჩ-ტურნირი, როგორც ეს მოხდა, მაგალითად, სამი წლის წინათ, პეტროპოლისის საზონათშორისო ტურნირის შემდეგ.

კიდევ ერთი საზონათშორისო

დღეს შვეიცარიაში, ქალაქ ბილში სტარტს აიღებს ვაჟთა მსოფლიო პირველობის მეორე საზონათშორისო ტურნირი. აქ პრეტენდენტთა სამი საგზურისთვის იბრძოლებს ოცი მოჭადრაკე.

ტურნირში ითამაშებენ: მსოფლიოს ექს-ჩემპიონები ტ. პეტროსიანი, მ. ტალი, ვ. სმისლოვი, დიდოსტატები ე. გელერი, ბ. გულკო (ყველა — სსრ კავშირი), ბ. ლარსენი (დანია), ლ. პორტიში (უნგრეთი), ი. სმეიკალი (ჩეხოსლოვაკია), უ. ანდერსონი (შვეცია), რ. ჰიუბნერი (გფრ), რ. ბირნი (აშშ), ვ. ლიბერზონი (ისრაელი), ა. მატანოვიჩი (იუგოსლავია), საერთაშორისო ოსტატები კ. როგოფი (აშშ), გ. სოსონკო (ჰოლანდია), ხ. დიეს დელ კორალი (ესპანეთი), რ. სანგინეტი (არგენტინა), ა. ლომბარდი (შვეიცარია), ხ. დიასი (კუბა) და ო. კასტრო (კოლუმბია).

სპეციალისტთა და მიმომხილველთა აზრით, ეს შეჯიბრება უფრო ძლიერი შემადგენლობისაა, ვიდრე მანილის საზონათშორისო ტურნირი. მართლაც, ბილში საბრძოლველად ბევრი სახელგანთქმული, უძლიერესი დიდოსტატი გამოდის.

მსოფლიოს ექს-ჩემპიონებს, გელერს, ლარსენსა და პორტიშს რეკომენდაციები არ სჭირდებათ. ყველას ახსოვს მათი სასახელო გამარჯვებები. მაგრამ ზოგი მაინც ეჭვქვეშ აყენებს, მაგალითად, გელერის, სმისლოვის, ლარსენის და, წარმოიდგინეთ, ტალის შანსებს. ბოლოდროინდელი ტურნირების მიხედვით სამეულში მოხვედრას უწინასწარმეტყველებენ პეტროსიანსა და პორტიშს.

ახალგაზრდებიდან ფავორიტებად ასახელებენ ჰიუბნერსა და ანდერსონს. ისინი მართლაც ნიჭიერი მოჭადრაკეები არიან, მაგრამ არანაკლებ შთაბეჭდილებას ტოვებენ როგოფი და სმეიკალი, რომელთაც უწინაც გამოუჩენიათ თავი.

მხედველობაში მისაღები არიან ოსტატებიც, რომელნიც ჯერჯერობით შეჯიბრების აუტსაიდერებად, ანუ, როგორც დიდოსტატი ს. ფლორი ხუმრობს, „ქულებით მომმარაგებლებად“ ითვლებიან.

საზონათშორისო ტურნირში სუსტი მოჭადრაკეები არ მონაწილეობენ. წარმატება დამოკიდებულია მოჭადრაკის სპორტულ ფორმაზე, რაც სტარტზევე გამოჩნდება. ჯერ კი შეიძლება თამამად ითქვას, რომ ბილის ტბასთან საინტერესო ბრძოლაა მოსალოდნელი.

ტურნირი 7 აგვისტომდე გასტანს.

თ. გიორგაძე.

მსოფლიო ჩემპიონის მონაწილეობით

მაშ ასე, მანილის საზონათშორისო ტურნირი დასასრულს უახლოვდება. მისი დამთავრებისთანავე ფილიპინების დედაქალაქში დაიწყება პატარა მატჩ-ტურნირი ოთხი დიდოსტატის — მსოფლიო ჩემპიონ ანატოლი კარპოვის, იუგოსლაველი ლ. ლიუბოევიჩის, ამერიკელი უ. ბრაუნისა და ფილიპინელი ე. ტორეს მონაწილეობით. ეს ტურნირი, ბუნებრივია, ამხანაგური იქნება. მას ფილიპინების ჭადრაკის ფედერაცია აწყობს.

გუშინ მსოფლიო ჩემპიონი ანატოლი კარპოვი მანილაში გაფრინდა. იგი მონაწილეობას მიიღებს საზონათშორისო ტურნირის დახურვაში.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 02382